# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N115

ქ. ბათუმი 09. 06. 2023 წელი

ერთის მხრივ, **სსიპ „აჭარის მუზეუმი"** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ელგუჯა ანდრიაძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „საბატა" (ს/ნ 245550185** )წარმოდგენილი დირექტორის მალხაზ თავდგირიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ - აჭარის მუზეუმისთვის ნოუთბუკის შეკეთება მომსახურება CPV - **50312000** ) წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით.
2.2. მომსახურეობის დასახელება, ზომის ერთეული და ღირებულება განისაზღვრება ფასების ცხრილით (დანართი 1).

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა **120** ლარი.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.
3.3. დაფინანსების წყარო- **ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი**

### 4. მომსახურების გაწევის ვადა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელმა მომსახურება უნდა გასწიოს 2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

### 5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ლოჯისტიკის კოორდინატორი-შოთა აბაშიძე.
5.2. მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება გაწეული მომსახურების ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე
.

### 6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, ეროვნულ ვალუტაში.
6.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულების მე-5 მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორების დოკუმენტზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

## 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.
9.2. 12.1 პუნქტით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით.
9.3. პირგასამტეხლოს და ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

## 11. სხვა პირობები

11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
11.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
11.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება
ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
11.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
11.5. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის
31 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| **შემსყიდველი:**<br>სსიპ „აჭარის მუზეუმი“<br>ბათუმი, ხ. ახვლედიანის ქუჩა N4<br>საიდ.კოდი N 245769271<br>სახელმწიფო ხაზინა<br>**ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი**<br><br>**დირექტორის მ/შ**<br>**ელგუჯა ანდრიაძე** | **მიმწოდებელი:**<br>შპს „საბატა“<br>ბათუმი ვაჟა ფშაველას ქ. N40<br>**საიდ.კოდი N 245 550 185**<br>**სს “პროკრედიტ ბანკი“**<br>ანგ.N GE 73 PC 0033 6001 0002 8844<br>**კოდი MIBGGE22**<br>**დირექტორი**<br>**მალხაზ თავდგირიძე** |

დანართი N1

ფასების ცხრილი

| N | საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდ ენობა | ერთეულის ფასი, ლარი | თანხა, ლარი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნოუთბუკის კლავიატურის შეკეთება | ცალი | 1 | 120 | 120 |
| საერთო ღირებულება: 120 ,00 (ასოცი) ლარი | | | | | |

**ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა**

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 9 ივნისის 2023 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის თანახმად, ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ სსიპ „აჭარის მუზეუმის“ მიერ 2023 წლის 8 ივნისის შპს „საბატა“-სთან **(ს.ნ 245 550 185)** გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ **N115** ხელშეკრულებით გათვალისწინებული **საქონლის/მომსახურების** შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

**დირექტორი მ/შ :** **/ელგუჯა ანდრიაძე/**